პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 24 ოქტომბერი 1925 წ. [illegible] ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

(940) 242 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

ორშაბათს, ა. წ. 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) დანიშნულია ტფილისის საბჭოს მორიგი

## ს ხ დ ო მ ა.

დღის წესრიგი:

1. შესწორებანი ტფილისის საბჭოს დებულებაში,
2. მოხსენება შინა-ვაჭრობის შესახებ,
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

## კარგად მოაწყვეთ კარანტინებიც.

უკვე დამთავრდა 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა. მიღებულ ცნობების თანახმად გაწვევა ყველა მაზრაში საუცხოვოდ ჩატარდა.

ამ ჟამად ვარგისად ცნობილი ახალგაზრდები—ახალწვეულები მიმღები კომისიების მიერ გაშვებული არიან თავთავიანთ სახლებში მოკლე ვადიან შვებულებაში. მათი მოსვლა წითელი არმიის ნაწილებში დაიწყება მომავალი თვის დამდეგიდან.

ამ ხნის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ უკვე დაამთავრა წინასწარი მუშაობა ახალწვეულთა მისაღებად თავის რიგებში. აქ ამ ჟამად უკვე კარგადაა მოწყობილი კლუბები, სამკითხველოები, ლენინის კუთხეები და თვით ყაზარმის შენობები. ახალწვეულთა საზეიმო შესახვედრათაც ადგილებზე უკვე გამომუშავებულია სათანადო გეგმები, რომლის მუშაობაში ჩაბმულია ნაწილების მთელი შემადგენლობა.

ამ წერილში გვინდა ნაწილების ყურადღება მივაქციოთ კარანტინების მოწყობასა და აქ გასატარებელ დაწყებით მუშაობაზე.

როგორც ვიცით ახალწვეულები სოფლებიდან და ქალაქებიდან უპირველეს ყოვლისა მოვლენ კარანტინებში, სადაც ისინი დარჩებიან რამოდენიმე დღე. აქედან კი ახალწვეულნი გაიგზავნებიან პირდაპირ ყაზარმებში.

ახალწვეულების მოსვლამდე ჩვენი ნაწილის მესვეურებმა და სან-ნაწილებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ პირველ რიგში კარანტინების მოწყობას და მის მუშაობას. აქედანვე გამოძებნილ უნდა იქნას ვარგისი შენობები და სათანადო მოწყობილობა კარანტინებისათვის.

ამასთანავე ერთად ნაწილებმა და მისმა პარტ-ორგანოებმა აქედანვე უნდა გამოყონ თავიანთ რიგებიდან პოლიტ მომუშავეები და მიამაგრონ კარანტინებზე. ამ გამოყოფილ ამხანაგებს უნდა დაევალოთ საუბრების ჩატარება კარანტინებში მყოფ ახალწვეულთა შორის გაწვევის მნიშვნელობაზე, წითელ არმიის ალმ ენებლობასა და მის ამოცანებზე და სხ.

გარდა ამისა ნაწილების სკოლის გარეშე დარგის მომუშავეებმა ამ საკარანტინო პერიოდში უნდა მიიღონ ყოველ-გვარი ზომები, რომ იქ გაატარონ მასიური მუშაობა შეს ძლებლობის ფარგლებში, მიაწოდონ კარანტინებს გაზეთები და სხ.

ახალწვეულთა მოსვლამდე დარჩა კიდევ რამოდენიმე დღე და ამას ნაწილები უნდა შეხვდენ კარგად მომზადებული ყოველ დარგში.

## სამოქალაქო ომი ჩინეთში.

ჩინეთში სამოქალაქო ომის ალი ცოტა ხნით შენელებული კვლავ სიძლიერით გაჩაღდა. გუშინდელი დეპეშები მართალია ჩინეთის შესახებ კონტი—კუნტი და მოკლე ცნობებს იძლევა, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა ჩინეთში წარმოებულ სამოქალაქო ომში მონაწილე ძალების მნიშვნელობაზე და მათ გადაჯგუფებაზე.

ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია უმთავრესად სამ დიდ რაიონებათაა დანაწილებული, სადაც თვითეული ძალა ბატონობს. ჩრდილოეთით, ჩინეთის უდიდესი ნაწილი ჩინეთის მილიტარისტთა და რეაქციონერთა გენერალს ჩჟან—ძო—ლინს უკავია. ერთ ხანებში ამ გენერალის ბატონობა თითქმის ცენტრალურ ჩინეთზე და დედაქალაქ პეკინზეც ვრცელდებოდა.

მაგრამ პეკინის მთავრობამ შესძლო წინედ დამარცხებულ მარშალ უ-პეი-ფუს ხელმძღვანელობით ძალებისა შემოკრება და ჩჟან-ძო-ლინი ჩრდილოეთისკენ მისწიეს. ამ ჟამად ამ ორ ძალთა შორის გაჩაღებულია შეიარაღებული ბრძოლა ბატონობისათვის. ეს ორივე ძალები ინგლისის და იაპონიის იმპერიალიზმის სამსახურშია და არსებითად ისინი ჩინეთის ხალხის მტერნი არიან.

ჩინეთის სამხრეთი, ქალაქ კანტონით, უკავია ჩინეთის რევოლუციონურ სახალხო არმიას. ჩინეთის ხალხის საუკეთესო, პროგრესიული-ეროვნული ნაწილი, ამ არმიის უკერს მხარს. თავისუფალ სამხრეთს ებრძვიან ჩინეთის რეაქციონერი გენერლები. ის გარსშემორტყმულია მტრულ ძალებით. მაგრამ რევოლიუციონურ სახალხო არმიის ლოზუნგების ქვეშ თავს იყრის ჩინეთის დემოკრატიული და პროლეტარული ძალები, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან იმ დროისთვის, როდესაც დასრულდება შუღლი რეაქციონერ გენერლებს შორის და ისინი გაერთიანებული წამოვლენ ჩინეთის რევოლიუციონურ სამხრეთის წინაამდეგ. ამ ბრძოლაში მთელი ჩვენი თანაგრძნობა იმათკენ იქნება, ვინც იბრძვის ჩინეთის განთავისუფლებისათვის როგორც უცხოეთის იმპერიალიზმის ისე თავის საკუთარ ბურჟუაზიის ბატონობისაგან.

რ. ნ.

# ა ხ ა ლ ი რ ა დ ი ო - ა მ ბ ე ბ ი

## იმპერიალიზმი და ახალშენები.

### აჯანყებულთა რაზმები სირიაში.

ალეპოს მიდამოებში დაიწყო მოქმედება აჯანყებულებმა. მთაგორიან ადგილების გამო ფრანგებს ძალიან უჭირთ მათ წინაამდეგ მოქმედება.

შიგა სირიაში გამოისა და კუმხანს შორის გაფუჭებულ იქნა რკინის გზა. ამ ჟამად ხაზი გასწორებულია და მას იცავს საფრანგეთის ჯარები.

### ფრანგები სასტიკად უსწორდებიან ტყვეებს.

აჯანყებულებისაგან ქალაქ სუეიდის გაწმენდის შემდეგ ფრანგები სასტიკად უსწორდებიან ტყვეებს.

დამასკის საგანგებო სასამართლოს კომისია დაიწყებს მალე თავის მოქმედებას და უნდა გამოიტანოს მთელი რიგი სასიკვდილო განაჩენი.

### არაბების მემორანდუმი.

სირია-პალესტინის არაბთა წარმომადგენელმა ერთა ლიგასთან ემირ-შეხიბ-ასლანმა მიმართა ერთა ლიგის პრეზიდიუმს დრუზების ბელად ელ-ატრაშის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმით, რომელშიაც ნათქვამია, რომ სირია არ წარმოადგენს საფრანგეთის კოლონიას, არამედ ის არის ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ მყოფი ტერიტორია. მემორანდუმში წამოყენებულია მოთხოვნილება, რათა ერთა ლიგამ გააგზავნოს ჯებელ-დრუზში დელეგაცია იქ შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად.

### სირიისა და ლივანის კომპარტიის მოწოდება.

ბეირუტის ნავთსადგურში გადმოდიან საფრანგეთის ჯარების ახალი ნაწილები და სწარმოებს ახალი სამხედრო მასალების გადმოტვირთვა.

ჩამოსულ საფრანგეთის ჯარებს შორის აღმოჩენილ იქნა სირიისა და ლივანის კომპარტიის დიდძალი მოწოდება.

### შეტევა ინგლისის მუშათა კლასზე

სასტიკი ზომები კომუნისტების წინააღმდეგ

ინგლისში გრძელდება სასტიკი ზომები კომუნისტების წინააღმდეგ. პლიმუტში დააპატიმრეს კომუნისტი განნინგტონი, ლონდონში—არნსტი.

გაზეთების ცნობით პოლიციას ნება აქვს გააგრძელოს კომუნისტების დაპატიმრება.

## მდგომარეობა ჩინეთში

### კანტონის არმიის გამარჯვება.

უკანასკნელ ცნობებით კანტონის არმიამ გაათავისუფლა 16 ოქტომბერს ქ. ვაიჩჟოუ ჩენ—ცზიუნ—მინის ჯარებისაგან. არმიამ ხელში ჩაიგდო დიდძალი ტყვე. ჩენ—ცზიუნ—მინის არმია იხევს სვატოუს მიმართულებით.

## საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.

პროფკავშირთა შესახებ საკითხის განხილვის დროს რამოდენიმე დელეგატმა შეიტანა წინადადება რევოლიუციონური მუშაობის გაძლიერების შესახებ შრომის რეფორმისტულ გაერთიანების წევრებს შორის, შრომის რევოლიუციონურ გაერთიანების მიერ პროგრამის გამომუშავების შესახებ და კომუნისტური ფრაქციების მუშაობის გაერთიანების შესახებ პროფკავშირებში.



ამხ. ანდრე მარტი

ანდრე მარტიმ თავის სიტყვაში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კომპარტიის სუსტი შეკავშირება პალატაში და განაცხადა, რომ ფრაქცია უნდა იყოს ცეკას სასტიკ კონტროლ ქვეშ.

მომხსენებელმა კომკავშირის შესახებ აღნიშნა, რომ კომკავშირმა დიდი როლი ითამაშა უკანასკნელ საპროტესტო გაფიცვებში მაროკოსა და სირიის ომის წინააღმდეგ.

## ამერიკას აშინებს საბჭოთა პურის კონკურენცია.

ამერიკის სასოფლო მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა საბჭოთა კავშირში პურის მოსავლის ზრდა გასულ წელთან შედარებით და განაცხადა, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის მიწად-მოქმედება საგრძნობლად გაძლიერდა.

# საბჭოთა კავშირში

## ფეიქართა საერთაშორისო კონფერენცია.

გუშინ, 23 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა ფეიქართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც უკვე მოვიდნენ საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების დელეგატები.

# ამხ. რიკოვის მოხსენება.

22 ოქტომბერს კრასნოს-პრესნენსკის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და საშინაო პოლიტიკის შესახებ.

ამხ. რიკოვი შეჩერდა უმთავრესად საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო მდგომარეობისა და საშინაო—პოლიტიკის დახასიათებაზე და აღნიშნა გასული წლისა და მომავლის თავისებურობა, და აგრეთვე მიღწევანი და მომავალი ამოცანები.

დასასრულ რიკოვმა მიუთითა ცეკას პლენუმის მიერ გამოტანილ რეზოლიუციის მნიშვნელობაზე სოფლის ღარიბი მოსახლეობის შესახებ და დაწვრილებით შეჩერდა მაზე.

ამხ. რიკოვის მოხსენებაზე გამოტანილ რეზოლიუციაში კრება სავსებით შეუერთდა ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებას.

## ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა თათბირი

### საგლეხო ლიტერატურის შესახებ

21 ოქტომბერს რაფაილის მოხსენების გარშემო კამათის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება საგლეხო ლიტერატურის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ წელში საგლეხო წიგნების გამომცემლობა ერთ-სამად გაიზარდა. ცუდად სდგას წიგნის გავრცელების საქმე. წიგნების მხოლოდ რაოდენობა აღწევს სოფლამდის. წიგნების ნაკლს შეადგენს საშუალო და დაბალი მკითხველისთვის გაუგებარ ენაზე წერასო.

საბოლოო სიტყვის შემდეგ რეზოლიუციის შესადგენად არჩეულ იქნა კომისია.

## უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი.

21 ოქტომბერს გაიხსნა უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა მოხსენება უკრაინის რკპ-ს ცეკას მდივნის კაგანოვიჩის რკპ-ს ცეკას მუშაობის შესახებ. პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით უერთდება რკპ-ს ცეკას უკანასკნელ პლენუმის დადგენილებას.

# აჭარისტანი.

## აჭარისტანის ცაკის სესია.

20 ოქტომბერს აჭარისტანის ცაკის სესიის სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ხიმშიაშვილი. მან აღნიშნა დიდი კულტურული და ეკონომიური მიღწევა აჭარისტანის, დაწვრილებით შეჩერდა იმაზე, თუ რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარელ ფუხარას და რა ძმური დახმარება გაუწია აჭარისტანს საბჭოთა საქართველომ. „ჩვენ ვხედავთ—განაცხადა მან—რომ აჭარისტანს ბევრი სიკეთე უყო საქართველომ. ჩვენი კულტურული და ეკონომიური განვითარება შეიძლება მხოლოდ მასთან მტკიცე კავშირში“.

შემდეგ ილაპარაკეს—სურგულაძემ, ლოლობერიძემ, მუსაბეკოვმა, თხილაშვილმა და სავემმა, რის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

რეზოლიუციის შემდეგ სესიამ მოისმინა ხიმშიაშვილის განცხადება თანამდებობებიდან მისი განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაღლილობის გამო.

ხიმშიაშვილის განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა. მის ადგილას აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა მიქდინ სურმანიძე.

აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული მამედ ლოლობერიძე.

# წითელ არმიაში.

## როგორ ტარდება არმიაში გაწვევა.

წითელი არმიის მთავარსამმართველოს უფროსმა ლევიჩევმა 1903 წლის გაწვევის შესახებ განაცხადა:

„მთელს კავშირში გაწვევა მალე დასრულდება. ზოგიერთ ოლქებში უკვე დაიწყო გამოწვეულთა გაგზავნა ნაწილებში. გაწვეულები ცხადდებიან უკლებლივ. არის შემთხვევები, როცა გაწვეულები ჰფარავენ ფიზიკურ ნაკლს, რათა წითელარმიაში მოხვდენ. ახალგაზრდობა მიდის წითელარმიაში თავის მოვალეობას სრული შეგნებით მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინაშე“.

## ახალი დებულება პოლიტხელების შესახებ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველომ გამოაქვეყნა ახალი დებულება პოლიტხელების შესახებ წითელი არმიის ნაწილებში.

პოლიტხელები წარმოადგენენ წითელ არმიელთა ხელმძღვანელებს პოლიტაღზრდისა და სწავლების საქმეში და პასუხისმგებელი არიან პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის წარმატებაში. წითელ არმიელის აღზრდის საქმეში პოლიტხელი ემორჩილება ნაწილის სამხედრო კომისარს, ხოლო შინა სამსახურის საქმეში—ათასეულის უფროსს.

## ლიტერატურა წითელი არმიისთვის

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველომ დასდო სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობასთან ხელშეკრულება, რომლის თანახმად გამომცემლობა კისრულობს წითელი არმიის მომარაგების საქმეს სხვა და სხვა სახის წიგნებით და ჟურნალებით. ჯარის ნაწილების მოთავსების ადგილებში აკრძალულია ცალკე წიგნის სავაჭროების მოწყობა.

# სამხედრო საქმე

## ძიება არმიის „თვალი და ყური“

### პოლიტიკური ძიება

მძიებელ მზვერავთა შემადგენლობაში შეყვანილი პოლიტმომუშავე და აგრეთვე ყველა მძიებლები ვალდებული არიან, გარდა წმინდა სამხედრო, საბრძოლო ძიების წარმოებისა, აწარმოონ პოლიტიკური ძიება. პოლიტიკური ძიება მდგომარეობს იმაში, რომ მძიებელი ჰკრებს ცნობებს მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობის შესახებ თავის ძიების რაიონში, ე. ი. არკვევს—ვინ სცხოვრობს ამ ადგილებში: ბობოლა, ღარიბი თუ საშუალო ქონების მცხოვრები; როგორ უყურებენ ისინი საბჭოთა ხელისუფლებას და არის თუ არა მათ შორის კლასობრივი მტრები; თუ არის, რამდენად გავლენიანი არიან ისინი მოსახლეობაში; რომელ ერს ეკუთვნის მოსახლეობის უმეტესობა.

გამოარკვევს თუ არა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, მძიებელი ითვალისწინებს, თუ მოსახლეობის რომელ ფენს შეიძლება დაენდოს საბჭოთა ძალაუფლების დამყარების დროს, და აგრეთვე რამდენად უნდა ჰქონდეს იმედი ადგილობრივ საშუალებათა როგორიცაა; საპარგულეები, სურსათი, ცხენების საკვები, მუშა ძალა და სხვა, ხოლო თუ დრო ექნება, საჭიროა ეცადოს კავშირის დაკავშირებას საბჭოთა ერთგულ მოქალაქეებთან, რომელთა საშუალებითაც გაიგებს თუ ვის სდევნიდა (ავიწროებდა) მტერი და რა ნიადაგზე (რისთვის).

მძიებელი ვალდებულია აგრეთვე გამოარკვიოს: არის თუ არა მოცემულ რაიონში აჯანყებულთა რაზმები, რომლებიც მოქმედებენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. თუ არის, უნდა ეცადოს მათთან კავშირის გაბმას და მათ დაკავშირებას ჩვენ ჯარებთან.

აგრეთვე მძიებელმა უნდა გამოარკვიოს: არის თუ არა რაიონში მტრის მიერ დატოვებული ჯაშუშები, რომლებიც დატოვებული არიან იმ მიზნით, რათა ზარალი მიაყენონ ჩვენს ზურგის ჯარს, გააფუჭონ გზები, ხიდები, ტელეგრაფები. ან და მთელი ბანდები, რომლებიც აწარმოებენ ზურგში თავდასხმას საბარგულებზე და სხვა.

აი ყველა ეს საკითხები უნდა გაამუქოს მძიებელმა. მუშაობა უსათუოდ ძნელია და მოითხოვს განსაკუთრებულ და გამოცდილ მიდგომას.

მძიებელს თავის პოლიტიკურ ძიების ამოცანის ასრულების დროს უნდა ახსოვდეს, რომ გარდა ჩვენდამი კარგი მოქცევისა ღარიბთა მხრივ, საშუალო შეძლებულნიც ხშირად ჩვენს მხარეზე იქნება, ვინაიდან კლასობრივ სიძულვილს გარდა, საშუალო შეძლებულნი ხშირად შევიწროებულნი არიან, როგორც ეროვნული უმცირესობა და ისინიც ჩვენს მხარეზე იქნებიან, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ საკითხს ყველაზე უკეთ გადასჭრის მოცემულ რაიონის მოსახლე უმცირესობათა სასარგებლოდ. ყველაფერი ეს კარგად უნდა იცოდეს მძიებელმა და ახსოვდეს, რომ, როგორც კაცმა, რომელიც ხშირად შედის მტრის მიერ დაკავებულ რაიონში, უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება საქმის ამ მხარეს და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი არმიის ამოცანების ახსნას.

მაშინ ჩვენი ძიება უსათუოდ თავის დანიშნულების სიმაღლეზე იქნება.

ი. ბარ.

## ყაზარმების განთავისუფლება.

ვინაიდან ზოგიერთ ქალაქებში ყაზარმები გამოყენებულია კერძო ბინებათ და სამხედრო უწყებას კი უხდება საკუთარ საჭიროებათათვის შენობები გამონახოს ცალკე, ამიტომ საკავშირო ცაკმა დაადგინა მიანიჭოს სამხედრო უწყების ორგანოებს უფლება, გადმოასახლოს ყაზარმებიდან კერძო მდგმურები, რომელნიც არ მსახურობენ წითელ არმიაში ან სხვა სამხედრო დაწესებულებებში,—ადმინისტრატიული წესით.

# ტერიტორიალურ ნაწილების ამოცანები შეკრებათა შორის.

**II. კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.**

ამ საკითხს პირველი ადგილი უკავია ტერიტორიალურ აღმშენებლობაში. ყველასათვის ცხადია, რომ მ. და გ. წითელი არმია ძლიერ მჭიდროთ არის დაკავშირებული მშრომელ მასასთან, მაგრამ წითელი არმიის ახალ სისტემით აღმშენებლობა ე. ი. ტერსისტემა უფრო მჭიდროთ არის გადაჯაჭვული სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მათი საშვალებით ფართო მშრომელთა მასასთან, ვინემ ძირედი ნაწილები (კადრი). ტერიტორიალური სისტემის სრული გატარება ცხოვრებაში ისე არ შეიძლება თუ არ არის მტკიცე და საქმიანი კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მათი საშვალებით კი ადგილობრივ მცხოვრებთა მასასთან.

საინტერესო არის ის, თუ ამ მხრივ რა მიღწევები გვაქვს ჩვენ (მე-2-ე დივიზიას). აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ჩვენი ნაწილების წერტებზე პირველად გასვლისთანავე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო; ადგილობრივი ორგანიზაციები ჩვენს ნაწილებს გრძნობდენ ერთგვარ ტვირთათ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს საკითხი ცოტათ თუ ბევრათ გამოკეთდა იმ მხრივ, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა იგრძნეს ნაწილობრივი პასუხისმგებლობა ტერიტორიალურ აღმშენებლობისა, მაგრამ ეს მიღწევები ყველგან არ არის და ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, რომ ყველგან ამ გრძნობამდე მივიყვანოთ სამოქ. ორგანიზაციები. ეს სრულიად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიუდგება ჩვენი წერტების ხელმძღვანელები ამ საკითხს. ხშირათ არის ხოლმე შემთხვევა, რომ ჩვენი ნაწილის წარმომადგენელი ადგილობრივ ორგანიზაციებში შედის მხოლოდ იმისათვის, რომ მიიღოს ფულით დახმარება ადგილობრივ ორგანიზაციებიდან. სწორეთ ეს უნდა ჩაითვალოს უმთავრეს მიზეზათ იმისა, რომ ზოგიერთ წერტებზე არ არის საქმიანი კავშირი ჩვენ ნაწილებს და ადგილობრივ ორგანიზაციათა შორის. წერტის პოლიტ-მუშაკი და მეთაური უნდა ეცადოს იმას, რომ უფრო ცოტა მოსთხოვოს ფულით დახმარება და მეტი იდეური დახმარება. სახელდობრ: ყოველივე სხდომები, კრებები, კონფერენციები და სხვა, რაც იმართება ჩვენ ნაწილებში, მას უსათუოდ უნდა დაესწროს ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი, იგივე უნდა იყოს შებრუნებულათ ე. ი. კრებები, ყრილობები, კონფერენციები, თუ რამე იმართება ადგილობრივ ორგანიზაციებში უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩვენმა ნაწილებმა, მხოლოდ ეს მონაწილეობის მიღება, როგორც ერთს ისე მეორეს მხრივ არ უნდა იყოს შაბლონური ე. ი. ის, რომ „ესწრება იმიტომ, რომ დაესწროს“, არამედ მუშაობაში ორივემ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ყოველივე საკითხი, რომელიც წამოიჭრება ჩვენი ნაწილების წინაშე, უსათუოდ შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

ჩვენი ნაწილების ხელმძღვანელებმა უნდა უსათუოთ შეიგნონ ის, რომ ანგარიში უნდა წარუდგინონ ადგ. ორგან. მუშაობის შესახებ. ეს ანგარიში საქმიანი უნდა იყოს და არა შაბლონური.

ჩვენი კომუჯრედები და კ. კ. ჯგუფები მჭიდროთ უნდა დაუკავშირდენ ადგილობრივ მუშათა ან გლეხთა უჯრედებს, ეს კავშირი არ უნდა იყოს მარტო „კავშირისათვის“, არამედ ორივე უჯრედები უნდა იყოს დაწვრილებით გაცნობილი ურთიერთ მუშაობას; ამ მხრივ ყველა ნაწილებში არ არის მიღწეული სასურველი შედეგები და ეს უსათუოთ უნდა მოგვარებულ იქმნეს საგეგმო პერიოდში.

ასევე უნდა ითქვას შეფობის შესახებ; ამ მხრივ ყოველგვარი გატარებული მუშაობა უნდა შეთანხმებული იქმნეს ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

მაშასადამე ჩვენი ნაწილების წერტებზე დაბრუნების შემდეგ წამოჭრილია შემდეგი ამოცანები: 1) მჭიდრო და საქმიანი კავშირის გაღრმავება სამოქალაქო ორგანიზაციებთან, 2) უჯრედების და კ. კ. ჯგუფების ურთიერთ შორის დაკავშირება, 3) ურთი-ერთ შეფობის საკითხის მოგვარება. ამ საკითხების გადაჭრა ჩვენმა ნაწილებმა უნდა შესძლონ.—

(გაგრძელება იქნება).

ნ. ბლუაშვილი.

# ახალ ძალების მოლოდინში.

## ახალი ძალები.

**2-ე ლეგ. 2 ე ათასეული.**

ლეგიონის 2-ე ათასეულმა 17 ოქტომბერს მიიღო ლეგსკოლა დამთავრებული 40-ე კურსანტი—ათისთავები. 8 თვის განმავლობაში იწვრთნებოდნენ ეს ამხანაგები, სწავლობდენ, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურსა და სხვა და სხვა საქმეებს.

ამ ჟამად ისინი შესაფერი ცოდნით აღჭურვილები განაგრძობენ ნაწილში მუშაობას. ხშირად მართავენ საუბრებს იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეხვდენ ახალწვეულებს, როგორ უნდა მიუდგენ მათთან მეცადინეობას, რომ შეათვისონ ყველა ის, რაც აუცილებლად საჭიროა მათთვის პირველ ხანებში. ახალგაზრდა ამხანაგები ჯერ-ჯერობით დიდ იმედებს იძლევიან და ჩვენც გვინდა დავრწმუნდეთ, რომ მათი მომავალი მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი იქნება ჩვენს ნაწილში.

სამხკორი ელიხო.

## თელავის მაზრისახალწვეულთა მიმღებ პუნქტებში.

1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის გაწვევა ჩვენს მაზრაში დაიწყო 7 ოქტომბრიდან.

ახალწვეულების მიღების დაწყებამდე მთელ მაზრაში ჩატარებული იქნა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. დაიწყო საავიტაციო მუშაობა. გლეხებს დაწვრილებით ვაცნობდით გაწვევასა და წითელი ჯარის მნიშვნელობას. მართლაც აგიტაციამ დიდი ნაყოფი გამოიღო და ყველა სიხარულით მოელოდა მიმღებ წერტისაკენ. ეს პირველ დღესავე დამტკიცდა. 7 ოქტომბერს წერტზე აუარება ახალგაზრდობამ და მათმა მშობლებმა მოიყარეს თავი. შეკრების წერტზედ მიმაგრებული იქნენ 6-ე ტერ-ლეგიონის ერთი მეთაური და პარტ ამხანაგი, რომლებიც აწარმოებდენ ახალწვეულებთან საუბრებს და უხსნიდენ მათ ყველა გაუგებარ საკითხებს, უმთავრესად კი ესაუბრებოდენ ამხანაგებს იმის შესახებ თუ ვის როგორი შეღავათით შეუძლია ისარგებლოს.

ახალგაზრდობა თემების აღმასკომების თავმჯდომარეებთან ერთად უკლებლივ ცხადდებოდენ. გამონაკლისი შემთხვევები თუ იყო ავადმყოფობა, თორემ სხვა მიზეზები ვერ აბრკოლებდენ მათ.

ხშირი იყო შემთხვევა, რომ შეღავათ მიღებული ამხანაგები პროტესტს აცხადებდენ და დაჟინებით მოითხოვდენ წაყვანილი ყოფილიყვნენ ისინი წ. ჯარში. აქაც საჭირო იყო ახსნა განმარტებების მიცემა, რომელსაც ენერგიულად ასრულებდენ ათასეულიდან მიმაგრებული ამხანაგები.

— ყველას ენაზე ეკერა, რომ წითელ ჯარში რამეს შევისწავლით, და არ შეიძლება რომ არ წავიდეთო.

ასე აღფრთოვანებით ეგებება თელავის მაზრის ახალგაზრდობა ჯარში გაწვევას.

დ. ჭ.

## ახალწვეულების მოსვლის წინ.

**1 ლი არტლეგ. 4 ხე საგაუბ-ცო ბატარეია.**

ერთი თვის წინ ჩვენმა ბატარეიამ გაუშვა 1924 წ. მაისში გამოწვეული წ. არმიელები გრძელ ვადიან შვებულებაში. ამის შემდეგ მოგვიხდა აგრეთვე ბინის გამოკვლა, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, მუშაობა ნაწილში მაინც არ შესუსტებულა. კიდევ უფრო გაცხოველდა ამის შემდეგ მუშაობა, რადგან მოახლოვდა ახალწვეულების მოსვლის დრო, რომლებსაც სათანადოთ მომზადებული უნდა შევხვდეთ, და გავხადოთ მათგან ღირსეული მხედრები.

განსაკუთრებით დიდი მეცადინეობა სწარმოებს უნცროს მეთაურებთან. მეცადინეობა ეხება, თუ როგორ უნდა შევაჩვიოთ ახლად მოსულები ყაზარმას და მის ცხოვრებას, რომლებსაც პირველად უხდებათ აქ მოსვლა. იმედი გვაქვს, რომ ამ დავალებას პირნათლად შევასრულებთ.

სამხკორი ხ. ძიროვნელი.

## კოოპერატივი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას

**1-ლი ლეგიონი.**

საზამთრო ბინებზე ჩვენი ლეგიონი შესაფერად მოეწყო, მაგრამ ლეგიონში არსებულ კოოპერატივის გამოკეთებას მანც არაფერი ეშველა. კოოპერატივი მეტნაწილად დაკეტილია. არ არის შიგ აუცილებელ მოთხოვნილების საგნები, როგორც მაგალითად პური და სხვა, რის გამო იძულებული ვხდებით კერძო ვაჭრებისაგან შევიძინოთ.

დროა გამოფხიზლდეს კოოპერატივი და მოგვაწოდოს ყველა საჭირო და აუცილებელი საგნები, თორემ ლეგიონში მისი არსებობა ამ პირობებში სრულიად ზედმეტია.

სამხკორი დი.

## ჩვენი წრეების მუშაობა.

**ქართ. ხამხ. პოლიტ. სკოლა.**

პირველათ ჩვენს სკოლაში წრეების მუშაობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამას ხელს უშლიდა ის, რომ არ გვყავდა სათანადო ხელმძღვანელები.

დღეს სკოლაში არსებობს 6 წრე. სალიტერატურო, დრამატიული, სამხკორთა, მხატვრული, მათემატიკური და მომღერალთა. მეცადინეობა წრეებში სისტემატიურათ მიმდინარეობს კვირაში ერთხელ, რომლებზედაც მონაწილეობას ღებულობენ თითქმის სკოლის მთელი შემადგენლობა, წრის ხელმძღვანელებიც დიდი ყურადღებით ეკიდებიან მუშაობას და კურსანტებიც დაინტერესებული არიან. ეწერებიან ყველა წრეებში. დღემდის კიდევ არ ვიცოდით თუ წრეს ასეთი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ამ ჟამად თითეული კურსანტი დარწმუნებულია, რომ წრეს დიდი სარგებლობის მოტანა შესძლებია.

თუ ჩვენი წრის ხელმძღვანელები ასეთი ერთგულობით გაუძღვებიან საქმეს, უეჭველია, რომ წრის საშვალებით დიდი ცოდნა შეიძლება შევიძინოთ.

ვუსურვებ ყველა წრის ხელმძღვანელებს ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი მიხა საწირელი.

## როგორ ვცხოვრობთ.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

არც კი არის გათენებული კარგად, რომ წამოიმლებიან ჩვენი კურსანტები და მიუჯდებიან გაკვეთილების სწავლას. ხშირად ვათევთ ასე ღამეს, არც დღე გვეძინება და ამიტომ არის, კურსანტები ერთმანეთს ჭიქის სახელით ნათლავენ. ადრომის ზარს ყოველთვის ჩაცმული ვხვდებით და ამის შემდეგ კი ჟრიამული მოიცავს მთელ სკოლას. სწრაფად ეწყობიან ამხანაგები ამოკითხვისათვის და საუზმის შემდეგ მიეშურებიან მეცადინეობისაკენ. 8 საათიდან—3-მდე განუწყვეტლივ ვმეცადინეობთ, რომელიც დიდი გულმოდგინეობით მიმდინარეობს ყოველთვის.

სკოლაში არიან ერთი სვანი, ერთი აჭარელი და ერთიც აფხაზი ამხანაგი. პირველად არც ერთმა არ იცოდა ქართული ენა, მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლობაში ისე კარგად შეისწავლეს, რომ ეხლა ჩვენსავით ლაპარაკობენ.

ლექტორები კარგი გვყავს და თითეულ გაუგებარ საკითხებს შესაფერად გვიშუქებენ.

სამხკორი მ. საწირელი

## ჩვენი ტერ არმიელები წითელი ყაზარმის შესახებ.

ცვალებადელთა პირველმა შეკრებამ წითელი ყაზარმისადმი დიდი სიყვარული ჩაუნერგა ჩვენს ტერარმიელებს. პირველი მათი ყურადღება მიიპყრო იმან თუ როგორ დახმარებას უწევდით გლეხებს ყანების დამუშავებისა და სხვა საჭირო საქმეებში. ერთი მხრივ თუ ნაწილში მოსული არმიელები დიდი ინტერესით ეკიდებოდენ გლეხების დახმარების საკითხს, მეორე მხრივ ადგილობრივი გლეხები უფრო კარგი თვალით გვიყურებდენ და თან და თან იწევდა წითელი ჯარისადმი პატივისცემის სურვილი და მისი ავტორიტეტი მათში.

ჯარში დიდი ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ტერ არმიელების დათხოვნის დროს არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა უკან წერა-კითხვის უცოდინარი.

ამ ჟამად მრავალი წერილები მოგვდის ასეთი არმიელებიდან, რომლებსაც ისინი იწერებიან თავის სოფლებიდან და სიამოვნებით იხსენიებენ წითელ ყაზარმას, მათ მასწავლებლებს, ოლიტიკელებს და ჯარში გატარებულ მთელ დროს. ისინი დიდ მადლობას გვიხდიან, რომ ხშირად მათი სურვილის წინააღმდეგ ძალას ვატანდით შეესწავლათ რამე სამხედრო და პოლიტიკურ დარგიდან.

— სოფელში დაბრუნების შემდეგ ვიგრძენით, თუ რა დიდ ვალს გვდებდით. ჩვენ აქ ვიგრძენით რა შეგვისწავლია და რანი გავხდარვართ წითელ ყაზარმაშიო—იწერებიან ისინი. ასე ემადლიერებიან ჩვენი ყოფილი ტერარმიელები წითელ ჯარს და მის აღმზრდელებს.

დ. ჭ.

## საჭიროა სახელმძღვანელოები.

**მე-3 ლეგ. სკოლა.**

ჩვენს სკოლაში მეცადინეობის ნაყოფიერად წარმოებას ძლიერ უშლის ხელს ზოგიერთი მიზეზები, რომლებიც ძირშივე უნდა იქნეს მოსპობილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მივიღებთ კარგად მომზადებულ და თვის მოვალეობის მცოდნე უნცროს მეთაურებს,

სკოლაში თითქმის ყველა სამხედრო საგნებს გადიან, მაგრამ არ მოიპოვება არც ერთი სახელმძღვანელო, რომელიც საგრძნობლად გაუადვილებდათ ამხ. შრომას.

სკოლაში არ არის არც ერთი წესდება, რომ შეიძლებოდეს სარგებლობა. სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს: ტაქტიკის 1-ლი ნაწილი, ქვეითი ჯარის ბრძოლა, საველე წესდება, საგარნიზონო და შინა სამსახურის წესდებები. საჭიროა ამ სახელმძღვანელოების რამოდენიმე ცალი გადაეცეს კურსანტებს, რომ საშვალება იქნეთ გაიმეორონ და შეისწავლონ განვლილი გაკვეთილები.

იმედია ამ გარემოებას ყურადღებით მოეკიდება ლეგიონის მნე და გაიღებს მცირე თანხას მათ შესაძენათ სკოლისთვის.

კენჭაძე.

## მოაგვარეთ საექიმო დახმარების საქმე.

**მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.**

არ იქნა და არა, ჩვენს ათასეულში არ მოეწყო როგორც წესი და რიგია ისე საექიმო დახმარების საქმე. პირველად ასე იდგა საკითხი. ბევრი მიწერ-მოწერის შემდეგ, როგორც იქნა გვეწვიენ მე-2 ქართ. დივიზიის ჯანმრთელობის განყოფილებიდან და დროებით მოაგვარეს ეს საქმე. საზაფხულო პერიოდის შემდეგ ათასეული ისევ დაბრუნდა № ქალაქში თავის წერტზე. აქ ისევ წამოიჭრა საკითხი ავადმყოფ წითელარმიელების დახმარების შესახებ წამლებით. ექიმები უწერენ წამლებს ამხანაგებს, მაგრამ წამალი ვერსაიდან გამოგვიტანია, არავინ გვაძლევს. ამის შესახებ მივმართეთ ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებას და აღმასკომსაც, მაგრამ პასუხად ის გვითხრეს, რომ ბიუჯეტში შეტანილი არა გვაქვს ასეთი დახმარებისათვის საჭირო ხარჯები და ვერაფერს მოგცემთო.

სანიტსაათებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მიაქციეთ ყურადღება ვისაც ამ საქმის მოგვარება შეეხებათ, თორემ ავადმყოფობა სერიოზულ ხასიათს მიიღებს ათასეულში და შემდეგ გვიან იქნება.

დ. ჭ.

## კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრთა სემინარის გახსნა.

**მე-2 ლეგიონი.**

მეორე ლეგიონში 19 ოქტომბერს გაიხსნა, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრების მოსამზადებელი სემინარი. სემინარის მთავარ ამოცანას შეადგენს, მოამზადოს გაზეთის ხელმძღვანელები ყველა ასეულებისათვის. ჯერ კიდევ პირველ ოქტომბრიდან აპირებდა ლეგიონი მის გახსნას, მაგრამ ვერ მოხერხდა ხალხის სიცოტავის გამო, ახლა კი როდესაც ლეგიონმა გამოუშვა უნცროსი მეთაურები ასეულებში, მოსახერხებელი შეიქნა მისი დაარსება.

ლეგიონში ამ ჟამად ირიცხება 11 რედკოლეგია. თვითეულ კოლეგიაში შედის 3 წევრი.

მეცადინეობა არის კვირაში 2-ჯერ ორ-ორი საათი. პროგრამა, რომელიც არის გადმოგზავნილი დივიზიის საგიტპროპაგანდო განყოფილებიდგან უნდა დამთავრდეს 15 ნოემბრამდე.

ლეგიონის გ. კოლექტივი იმედოვნებს, რომ სემინარის საშვალებით გაძლიერდება ეს მუშაობა და ის ნაკლი, რომელიც გვქონდა წარსულ თვეებში, რასაც გვიჩვენებს სექტემბრის თვეში მომხდარი დივიზიის სამხკორთა კონფერენციის ანგარიშები, აღარ იქნება.

ველით ახალ წვეულებს და იმედი გვაქვს მათაც ჩავაბამთ ამ მუშაობაში ჩვენი კედლის გაზეთის საშუალებით.

სამხკორი ვ. დ.

## სამხკორთა შენიშვნებიდან

### საჭიროა ბუტკები საგუშაგოზე.

**1-ლი ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის საგუშაგოზე არ არის ბუტკები, რომ გუშაგებმა წვიმის დროს თავი შეიფარონ. ხშირად ისე სველდებიან წითელ არმიელები, რომ ადვილი შესაძლებელია მათი სერიოზულად გაცივება. ამას გარდა თოფებიც ფუჭდება წვიმებში. დროა ლეგიონის კომენდანტი იზრუნებდეს ამაზე და გააკეთებდეს საგუშაგო ბუტკებს.

წ. არმ. ვ. თათეიშვილი.

### საჭიროა სწორი საათი.

**1-ლი ლეგიონი.**

პირველი ლეგიონის საგუშაგოში გვაქვს ერთი საათი, რომლის გამოსწორებას არაფერი ეშველა. საათი არადროს არ გვიჩვენებს სწორად, რაც ძლიერ გვიშლის ხელს გუშაგებისთვის დროზე გამოკვლაში. ამ ნიადაგზე ხშირად აქვს ადგილი უკმაყოფილებას. ყველა ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გამოსცვალონ ის და მოგვცენ სწორი საათი.

ელ. ძინძიბაძე.

# ახკომკავშირელთა შორის.

1 ლი ხაზტილერიო ლეგიონი.

22 ოქტომბერს შესდგა არტ-ლეგიონის ახკომკავშირელთა გაერთიანებული მორიგი ღია კრება. კრებას დაესწრენ უპარტიო ამხანაგებიც. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) ახკომკავშირელების მოვალეობა ახალწვეულ ამხანაგების მოსვლის დროს; 2) პირველ და მეორე ბატარეის ჯგუფის ორ ჯგუფად გაყოფა და 3) ჯგუფის ორგანიზატორის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. პოლიტხელი. ის დაწვრილებით შეეხო ლენინელის მოვალეობას ახალწვეულების მოსვლის დროს და ბოლოს მოგვიწოდა სათანადოდ მოვმზადებულიყავით მათ შესახვედრად.

შემდეგ ორგანიზატორმა გაგვაცნო თუ რად უნდა მოხდეს პირველ და მეორე ბატარეების ჯგუფის ორ ჯგუფად გაყოფა. უმთავრესი მიზეზი ამის ის არის, რომ ჯგუფი საგრძნობლად გაიზარდა და მისი მეცადინეობა ამის გამო გაძნელდა. კრებამ ერთხმად მიიღო ამხ. წინადადება და იქვე იქნა ამორჩეული ორივე ჯგუფების ორგანიზატორები.

შემდეგ მოსმენილი იქნა 4-ხე საგაუბიცო ჯგუფის ორგანიზატორის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ, რაც კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

სამხკორი შ. ბურკაძე.

# უცხოეთის არმიებში.

**საჰაერო კატასტროფა (უბედურება) პოლონეთში.**

22 სექტემბერს პოლონეთში ბუდკოშის ჰაერ-დრომზე მოხდა საჰაერო კატასტროფა. 2 სამხედრო ჰაეროპლანი, რომლებიც მიფრინავდენ ერთმანეთის მოპირდაპირედ, ჰაერში დაეტაკნენ ერთმანეთს 500 მეტრის სიმაღლეზე. აპარატები დაიმსხვრენ და იმსხვერპლეს სამხედრო მფრინავებიც.

**ესტონეთის მანევრების დასრულება.**

ესტონეთის არმიის მანევრები დასრულდა. მანევრების დროს ადგილი ჰქონდა 2 უბედურ შემთხვევას: ორი ჯავშნიანი მატარებლები დაეტაკენ ერთმანეთს, რამაც იმსხვერპლა 5 და დაჭრა 10 ჯარის კაცი. მეორე შემთხვევას ადგილი ჰქონდა რეველთან. გაფრენის დროს ცეცხლი გაუჩნდა ჰაეროპლანს. მფრინავმა მოასწრო ძირს დაშვება, მაგრამ მიუხედავად ამისა სერიოზულად დაზიანდენ როგორც ის ისე თვალთვალთმდევნელიც.

**რუმინია უძლიერებს წყალქვეშა ნავებს.**

რუმინეთის მთავრობამ სამხედრო სამინისტროს გაუხსნა კრედიტი 6 წყალქვეშა ნავების შესაძენად. ამათში 3 უკვე შეძენილი იქნა ამ დღეებში, ხოლო დანარჩენები შესყიდული იქნებიან ახლო მომავალში. ამის შესახებ საჭირო მოლაპარაკება უკვე დაწყებულია საფრანგეთთან. ამნაირათ რუმინეთმა წყალქვეშა ნავების შეძენით დაამტკიცა თავისი ყურადღება საზღვაო ფლოტის გაძლიერების საქმეში, რომელსაც აქამდე არ აქცევდა ჯეროვანი ყურადღება.

**საზღვაო სამხედრო ინჟენერები ფინეთში.**

სპეციალური სამხედრო საზღვაო სასწავლებელი ფინეთში დღემდე არ არსებობს და ამიტომ საზღვაო ინჟენერები გადიან კურსს გელსინგფორსის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სტუდენტი ტეხნოლოგები, რომელთაც სურთ გაათავონ საზღვაო ინჟენერის კურსი, მთელი 2-ნახ. წლის განმავლობაში აგრძელებენ სწავლას სახელმწიფოს სრულ ხარჯზე.

**ტანკების აგება ჩეხო-სლავიაში.**

ჩეხიის მექანიკური ქარხნები უკვე შეუდგენ ჩეხოსლავიის არმიის საჭიროებისათვის ტანკების აგებას. ჩეხოსლავიის კონსტრუქციის ეს პირველი ტანკები დამზადებული იქნებიან ადგილობრივი მასალების მოხმარებით.

# სოციალური დახმარება წითელ არმიელებს.

მაზრებში ეხლა განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფისაკენ. წითელ არმიელთა ოჯახებს ეძლევათ როგორც ფულადი, ისე სხვა სახის დახმარება, მაგალითად საქმით, შრომით დახმარება და სხვა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენენ გლეხკომები. გლეხკომები ეხმარებიან წითელ არმიელთა ოჯახებს ადგილების დამუშავებაში, პირნახულის მოწევაში, შეშის მომარაგებით და სხვა.

მარტო ახალქალაქის მაზრაში ხუთი უკანასკნელი თვის განმავლობაში წითელ არმიელთა ოჯახებისთვის დაურიგებიათ დახმარების სახით 925 მანეთი.

**გლეხკომების რევიზიები.**

საქართველო—გლეხური ქვეყანაა და ჩვენში გლეხკაცობის ეკონომიურ—კულტურულ კეთილდღეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩვენს გლეხობას კი უახლოესი დამოკიდებულება აქვს გლეხკომებთან. ამიტომ უზრუნველყოფის კომისარიატმა და განსაკუთრებით გლეხკომების ცენტრ. კომიტეტმა უპირველეს ყოვლისა მიზნათ დაისახა, რომ გლეხკომებში არ ჰქონდა ადგილი ისეთ გადახრებს, რაც გულს აცრუებდა გლეხობას. ამ მიზნით ყველა მაზრებში ჩატარდა გლეხკომების საქმიანობის გამოკვლევა.

**ინვალიდების უზრუნველყოფა.**

სამწუხაროთ ზოგიერთ მაზრებში საგრძნობლად მოიკოჭლებს ინვალიდების უზრუნველყოფის საქმე. უზრ. ყოფ. კომისარიატი უკვე ღებულობს ზომებს ამ მხრივ და ეხლა თითქმის ყველგან ეწყობა ინვალიდთა არტელები, რაც საგრძნობლათ გააუმჯობესებს მათ ეკონომიურ მდგომარეობას. ასეთი არტელები ეწყობა მაგალითად ზუგდიდის მაზრაში. იქვე ეწყობა აგრეთვე ინვალიდების კლუბი, კოოპერატივი და სხვა.

# ამბები სოფლებიდან.

**ახალი ხიდი.** სოფ. ცხემვალში (აჭარა) ქობულეთის სამაზრო აღმასკომი შეუდგა ხიდის აგებას ხ ვზე.

**ქალ. ზუგდიდში** იხსნება ინვალიდების კლუბი, სადაც მოწყობილი იქნება სამკითხველო და სხვა და სხვა გასართობები.

**ბარიტის წარმოება.** უმაღლესი სამეურნეო საბჭო ქუთაისში აწყობს ბარიტის საფქვავ ქარხანას.

**წელს თელავში** აიგება აბრეშუმის სახვევი ქარხანა, სადაც ყოველწლიურათ გადაამუშავებენ ათას ექვსას ფუთ პარკს.

**სკოლა თურქებისთვის.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას თურქებისათვის ერთ წლიანი სკოლა.

**საცდელი მინდორი.** ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა მიიღოს ზომები კულაშის საცდელი მინდორის სათანადო მოსაწყობათ და დასაცავათ.

**გორის აღმასკომს** გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს რკინის გზის სადგურის ახლო-მახლო წყაროს ონკანები.

**ხეხხი კოოპერაცია.** ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა მისცეს ძირითად კოოპერაციას ათასი მანეთი, სესხათ ერთი წლის ვადით.

**ოზურგეთის** სამაზრო გლეხკომს დაევალა შეუდგეს ოზურგეთის რკ. გზის სადგურთან მეღორეგ-მეურმეთა არტელის მოწყობას.

**ცაგერის აღმასკომმა** (ლეჩხ. მაზრა) მოაწყო საკუთარი საფუტკრე ფერმა.

**უმუშევრები ქუთაისში.** ქუთაისში საშუამავლო ბიუროში აღრიცხულია 1.116 უმუშევარი.

# ახალი ამბები.

— **ავიაქიმი და შეფობა.** საქ. ავიაქიმმა გამოყო კომისია სოფლად მუშაობის შესახებ და დაადგინა ჩაატაროს კამპანია ავიაქიმის უჯრედების მიერ სოფლებზე შეფობის აღების მიზნით.

— **სამაზრო და სარაიონო ავიაქიმებს**, საქ. ავიაქიმმა გაუდიდა საკუთარ საჭიროებისათვის პროცენტული გადანარიცხები 20 პროცენტამდე.

— **დედათა და ბავშთა** სახლის შესაკეთებლათ თფილისის აღმასკომმა გადასდო 16000 მანეთი.

— **წყალში დახრჩობისაგან გადასარჩენ** პუნქტებიდან ზამთრის სეზონის გამო დაიხურება ოთხი პუნქტი, ორი დარჩება.

— **შრომის ხელფასი.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა ეძლეოდეს მოჯამაგირეებს ჯამაგირი არა ნაკლებ კომისარიატის მიერ გამომუშავებული ნორმებისა.

— **ბრძოლა ციებ ცხელებასთან.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა დასავლეთ საქართველოში სავალდებულოთ შემოიღოს მუშებისათვის ქინა-ქინის სავალდებულო მიღება.

# პასუხი შეკითხვებზე

კითხვა. ჩემი ძირითად პროფესია არის ელექტრო მანტიორი. შემიძლია თუ არა ცალკე მესანგრე ასეულიდან გადასვლა ისეთ ნაწილში, სადაც შემეძლოს მუშაობა ჩემს ხელობაზე?

ხახუაძე.

პასუხი. რევსამხსაბჭოს ბრძანებით № 821 ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

კითხვა. შეუძლია თუ არა ზედმეტ მსახურს უმცროს მეთაურს ატაროს ისეთი ტანისამოსი, როგორც უმფროს მეთაური?

პასუხი. წაიკითხეთ შინა სამსახურის წესდება.

კითხვა. გარნიზონში ყარაულის უფროსს შეუძლია თუ არა ატაროს რევოლვერი?

პასუხი. წაიკითხეთ საგარნიზონო წესდება.

კითხვა. მაქვს საშუალო ცოდნა. გამოცდები მეთაურის თანამდებობაზე არ ჩაგვიბარებია, რადგან ნაწილმა პროგრამის მოცემა ვერ შესძლო. შემიძლია თუ არა ტერნაწილში გადავირიცხო?

გოგინავა.

პასუხი. სამსახური უნდა გააგრძელოთ საერთო წესით.

კითხვა. ვმსახურებ ტერიამაერთველოში შიკრიკად. წვრილების დარიგების შემდეგ კანცელარიაში ვმორიგეობ. მეკუთვნის თუ არა მორიგეობა?

წ. ა. მ—ლი.

პასუხი. მიმართეთ თქვენს უფროსს, რომელიც გაგინაწილებთ შრომას.

კითხვა. ჩვენ ვრჩებით დეკემბრამდე. ტანისამოსს უთავდება ვადა (6 თვე), მოგვეცემა თუ არა ახალი?

ხარია.

პასუხი. მოგეცემათ საერთო წესით.

კითხვა. ვმსახურებ წ. ჯარში ჩემი სურვილით 1 წელიწადი. მინდა გადავიდე ლენინგრადში. ვის უნდა მივმართო?

ჰან ვეტაძე.

პასუხი. თქვენ შეგიძლიათ უვადო შვებულებაში წასვლა, როგორც 1904 წ. დაბადებული.

კითხვა. ვმსახურებ 13 თვე. მეკუთვნის თუ არა მოკლევადიანი შვებულება?

ალადიშვილი.

პასუხი. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1520 გეკუთვნით ათი დღის შვებულება ოჯახურ მდგომარეობის გამო, რის სათანადო მოწმობა უნდა წარუდგინოთ ნაწილს.

კითხვა. ჩემს ოჯახისათვის შეუწერიათ იმდენი გადასახადი, რაც არ მეკუთვნის. მეკუთვნის თუ არა გადასახადის გადახდა, როგორც წ. არმიელს?

ა—შვილი.

პასუხი. აქ დარღვეულია რევსამხსაბჭოს ბრძანება № 1520, რაც უნდა აცნობოთ სამხედრო პროკურორს.

კითხვა. სახლში მყავს დაბრმავებული მოხუცი დედა და ერთი პატარა ძმა. ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

ფრენუაშვილი.

პასუხი. მიმართეთ აღმასკომს.

კითხვა. რა დის განთავისუფლდებიან 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულნი?

ნოზაძე.

პასუხი. განთავისუფლდებიან 1926 წ. შემოდგომაზე.

კითხვა. შემიძლია თუ არა ჩავიცვა გაშვებული შარვალი და ფორმის ხალათი, ვინაიდან ფეხები მაქვს დაზიანებული.

საქმის მწარმ. ლ. მ—ძე.

პასუხი. ამის შესახებ მიმართეთ ლეგთავს.

კითხვა. დავკარგე მაზარა, რისთვისაც მისჯილი ხარჯი [illegible] ლი მოვიხადე. უვადო შვებულებაში წასვლის დროს მომეცემა თუ არა მაზარა?

პასუხი. მოგეცემათ მეორე ხარისხის მაზარა, თუ ასეთი აღმოჩნდება ერთეულში.

კითხვა. გავათავე სამსახური. დავრჩი ზედმეტ მსახურად ათის თავად. მოცემული ტანისამოსი ჩემს საკუთრებას შეადგენს თუ არა?

პატარაია.

პასუხი. გადმოდის თქვენს საკუთრებათ, თუ ზედმეტ მსახურად რჩებით.

კითხვა. ამბავი მომივიდა რომ სახლი დამგრევია. გამკეთებელი ჩემს მეტი არავინ არის. მომეცემა თუ არა მოკლე ვადიანი შვებულება?

კირაკოზაშვილი.

პასუხი. ერთი წლის სამსახურის შემდეგ წ. ა. ეკუთვნის მოკლე ვადიანი შვებულება ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით.

მიმართეთ თქვენს უფროს.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შე[illegible] მოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობ[illegible] დან კ. პ. კანდიდატებად გადარიცხვის შესახებ, შემდეგ ამ[illegible] ხანაგებს 1. ქაპაშვილი ალექსის და 2. ესებუა სპირიდონს.

კ. პარტიის კანდიდატობიდან კომ-პარტიის წევრად გა[illegible] დარიცხვის შესახებ ამხ. 1. გაბედავა ლევონის. გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნული ამხა[illegible] ნაგების შესახებ გვაცნობოთ ერთ კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. გ. მ. ხუხუა.

**დაკარგე** ჩოხატაურის პირველ საფეხურის ტ[illegible] ხნიკუმიდან გაცემული მოწმობა [illegible] არმ. გრიგოლ გველაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულაშვი.